# განმარტებითი ბარათი

1. შემოთავაზებული პროექტი ითვალისწინებს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოკის ტერიტორიაზე 17,00x30,70 (მ) ზომის მინი სტადიონის მშენებლობას;
2. მშენებლობისათვის კონკრეტულ ადგილმდებარეობას შეარჩევს დამკვეთი;
3. პროექტში გათვალისწინებულია: 0,35 მ სიმაღლის მცენარეული საფარის მოცილება, 0,30x0.60x125,0 (მ) ქვაბულისმოწყობა შემდგომში საძირკვლის და ხელოვნული საფარის საფუძვლის მოსაწყობად, ასევე გათვალისწინებული დ=100 მმ მილისგან მოწყობილი სადრენაჟო სისტემა წვიმის წყლების გადინებისათვის;
4. სპორტული მოედნისშემოსაფარგლად გათვალისწინებულია მოუთუთიებელი ფოლადისაგან დამზადებული50x50 (მმ) ზომის უჯრედიანი,3,5მმ სისქის და 3,0-4,5 მ. სიმაღლის მავთულბადე;
5. შემომფარგლავი ღობის დგარებისათვის გამოყენებული იქნას 40x80x4.0 მმ. ზომის ფოლადის კვადრატული კვეთის მილები, ყველა შემოსაფარგლი მავთულბადე აეწყოს 40x40x3.0 მმ. ზომის ფოლადის კუთხოვანებით წინასწარ დამზადებულ ჩარჩოში;
6. მოედნის საძირკველისათვის და ცემენტის ქერქისათვის გამოყენებული იქნას მ-200 მარკის ცემენტი;
7. სპორტული მოედანის შესასვლელთან და გასასვლელთან ორივე მხარეს გათვალისწინებულია 50x50x3.5(მმ) ზომის უჯრედებიანი მავთულბადისაგან და დ=16 მმ ზომის არმატურისაგან დამზადებული კუტიკარი;
8. საპროექტო–სახართაღრიცხვო დოკუმენტაციით არ არის გათვალისწინებული ფიბრილური ხელოვნური საფარის მოწყობა;
9. ყველა ლითონის კონსტრუქციის დამონტაჟების შემდეგ შეიღებოს ყველა კვანძი ანტიკოროზიული ზეთის საღებავით ორ შრედ.
10. ხარჯთაღრიცხვა შედგენილია 01.04.2016 წ. მდგომარეობით საბაზრო ფასების შესაბამისად;
11. ყოველგვარი გადახრა პროექტიდან შეთანხმდეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან.